F 171
1940

სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 2 თებერვალი 1940 წ.

F-441

## შინაარსი

1. დადგენილება № 211—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსი 1940 წლ. 10. თებერვალს—საქალაქო სკოლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. . . . . 2
2. ბრძანება № 327 - ზუკდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესახებ . . . . . 3
3. ბრძანება № 320-თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო სამეცნიერო მუშაობის შესახებ . . . . . 5
4. ბრძანება № 355 - პიონერთა და მოსწავლეთა კლუბის შესახებ . . . . . 7
5. ბრძანება № 324—თბილისის სახუნტის 1933 წლამდე კურსმოსმენილ პირთა ჩაუბარებლად დარჩენილ საგნებში გამოცდებზე დაშვების შესახებ . . . . . 8
6. ბრძანება № 323—წულუკიძის რაიონში წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ . . . 9
7. ბრძანება № 468-დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიისა და სსრკ ისტორიის I ტომების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ . . . . 10
8. ბრძანება № 683 - ყვარლის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ . . . . . 10
9. ბრძანება № 123—კასპის საშ. სკოლის გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . 13
10. ბრძანება № 927 - სანანძრო დაცვის შემოწმების, შესახებ ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და ჩოხატაურის რაიონებში . . . . . 15

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 211

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**10 თებერვალს 1940 წ.**

### საქალაქო სკოლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 14 ნოემბრის № 2161 დადგენილება „1940 წელს საქალაქო სკოლების მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ“, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო საბჭოებმა დიდი დაგვიანებით ჩაატარეს ნაკვეთების გამოყოფა სკოლების მშენებლობისათვის, ხოლო ამ ნაკვეთების განთავისუფლება დღემდეც არ დამთავრებულა. არცერთი სკოლის ხაზით არ არის დაწყებული დროებით ნაგებობათა მშენებლობა, გარდა ბათუმის სკოლისა და თბილისის სკოლისა ხუთწლედის ქუჩაზე, ქვიშის, ხრეშის, რიყის ქვისა და საკედლე მასალების შეტანა არამცთუ არ დამთავრებულა 1940 წლის 1 იანვრისათვის, არამედ ზოგიერთი სკოლების მშენებლობაზე ასეთი არც კი დაწყებულა (ბათუმი, ქუთაისი, სტალინირი, თბილისი—ლოტკინის ქუჩა და აეროპორტი), საქართველოს სსრ განსახკომმა (ბათუმის, ქუთაისის და სტალინირის) სკოლების მშენებლობა დამტკიცებული პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით 1939 წლის 15 დეკემბრის ნაცვლად, უზრუნველჰყო 1940 წლის 1 იანვრისათვის, ხოლო თბილისის საბჭომ თვითნებურად გადახარჯა. ორი თვით სასკოლო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ვადები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით. ქ. თბილისის სკოლების ხარჯთაღრიცხვები დღემდე არ არის შედგენილი და არ მიუწოდებიათ მშენებლობისათვის, პროექტი მიაწოდეს მხოლოდ აეროპორტის სკოლას მიმდინარე წლის 4 თებერვალს.

საქალაქო სკოლების მშენებლობის დაჩქარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ხუბაევს, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს, დუშეთისა და ზუგდიდის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) შეამოწმონ სკოლების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები საქალაქო სკოლების მშენებლობის ტემპების ყოველმხრივ დასაჩქარებლად;

ბ) დააკომპლექტონ საქალაქო სკოლების მშენებლობა საჭირო მუშახელით და შემოიღონ ორცვლად მუშაობა;

გ) უზრუნველჰყონ საქალაქო სკოლების მშენებლობა ყოველგვარი საჭირო საშენი მასალებით 1940 წლის პირველ კვარტალში გამოყოფილ ფონდების ხარჯზე და პირადად სისტემატურად ადევნონ თვალყური მშენებლობის მიმდინარეობას.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. კოჭლამაზაშვილს ხუთი დღის ვადაში უზრუნველჰყოს ქ. თბილისის

სკოლების მშენებლობა დამტკიცებული პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს ამხ. კიკნაძეს სისტემატური კონტროლი გაუწიოს სკოლების მშენებლობის მიმდინარეობას და ყოველი თვის პირველ რიცხვს სახკომსაბჭოს გაუკეთოს მოხსენება მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქმ. მმართველი ი. რუხაძე**

---

# ბრძანება № 327

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 28 იანვარი**

### ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალი ჩამოყალიბებულია, თავის მუშაობაში აქვს ზოგიერთი მიღწევები: ინსტიტუტი ძირითადად დაკომპლექტებულია პროფესორ-ლექტორთა შტატით, სტუდენტთა შორის განმტკიცებულია სასწავლო დისციპლინა, სტუდენტთა პირადი საქმეები წესრიგშია მოყვანილი და სხვ.

ამასთან ერთად ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებს:

1. ზოგიერთ საგნებში სასწავლო გეგმები შეუსრულებელია (ფიზიკა, სამხედრო საქმე, ქართული ენის მორფოლოგია);

2. ინსტიტუტს არ გააჩნია მუდმივი სტაბილური ცხრილი, სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს დროებითი (ექვსდღიურის) ცხრილის მიხედვით;

3. ბიბლიოთეკა-სამკითხველო მუშაობს სალექციო საათებში, რის გამოც სტუდენტებს უძნელდებათ ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა. სამკითხველოსათვის არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი, ბიბლიოთეკას არ ყავს კვალიფიციური მუშაკი;

4. მოუწყობელია სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, რის გამოც პრაქტიკუმები ვერ ტარდება ხარისხიანად—ნაკლებად აქვს ადგილი თვალსაჩინოებას;

5. სტუდენტები არასაკმაოდ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო ლიტერატურით და საკითხავი წიგნით რუსულ ენაში, ამიტომ ლექტორები მეტ დროს ანდომებენ გრამატიკის შესწავლას საკითხავ მასალიდან მოწყვეტით, ან უკეთეს შემთხვევაში იყენებენ იმ მასალებს, რომელიც სტუდენტებს საშუალო სკოლიდან ახსოვთ. წერითი სამუშაოები რუსულ ენაში სისტემატურად არ ტარდება. მოუწყობელია რუსული ენის კაბინეტი;

6. კათედრის გამგეებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ სათანადო მუშაობა, არ ესწრებიან კათედრის წევრთა ლექცია-პრაქტიკუმებს და არ ამოწმებენ მათი საკვლევო-სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობას;

7. ინსტიტუტის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, იგი მისთვის შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული და საჭირო ინვენტარითაც არ არის უზრუნველყოფილი;

8. წესრიგში მოყვანილი არ არის პროფესორ-ლექტორთა პირადი საქმეები (აკლია ფოტოსურათები, ცენზის საბუთები და სხვ.).

აღნიშნულისა გამო ვბრძანებ:

**1. დაევალოს ინსტიტუტის დირექტორს:**

ა) ა/წ 3 თებერვლამდე შეადგინოს მეორე სემესტრის მუდმივი სასწავლო ცხრილი სტუდენტების ზედმეტი დატვირთვისა და ერთსა და იმავე კურსზე საგნებისათვის დღიურად დათმობილი საათების გადიდების აღკვეთით;

ბ) მიიღოს ზომები ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო მომზადების ხარისხის გაზრდის უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით სისტემატური დახმარება აღმოუჩინოს მათ სამეცნიერო დისერტაციის დამზადების საქმეში;

გ) განახორციელოს ოპერატიული ხელმძღვანელობა ინსტიტუტის კათედრებზე და უზრუნველჰყოს კათედრების სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გაშლა და ნორმალურად წარმართვა;

დ) უზრუნველჰყოს სტუდენტები რუსულ ენაში საკითხავი წიგნით და გრამატიკის სახელმძღვანელოს საჭირო რაოდენობით;

ე) ბიბლიოთეკის მუშაობის გარდაქმნის მიზნით შეარჩიოს მისთვის კვალიფიციური მუშაკი და გამოყოს ბიბლიოთეკიდან ცალკეულად სამკითხველო მისთვის შესაფერისი ბინის მიჩენით. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მუშაობა მოაწყოს ისე, რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება ლექციების დამთავრების შემდეგ ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობისა;

ვ) ა/წ 1-ლ აპრილამდე უზრუნველჰყოს ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა აუცილებელი საჭირო ხელსაწყოებით;

ზ) მიღებულ იქნას ცნობად ინსტიტუტის დირექტორის განცხადება იმის შესახებ, რომ მათ დღეისათვის უკვე ჩამოყალიბებული აქვთ სტუდენტთა სამეცნიერო წრეები და მუშაობა სწარმოებს სათანადო გეგმის საფუძველზე.

თ) მოაწყოს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი საჭირო ინვენტარით (პირისაბანი, ტაშტი და სხვ.);

ი) ა/წ 15 თებერვლამდე მოაწესრიგოს ინსტიტუტის პროფესორ-ლექტორთა პირადი საქმეები მათი სათანადო დოკუმენტების შევსებით;

კ) ა/წ 10 თებერვლამდე მოაწყოს რუსული ენის კაბინეტი და მოამარაგოს ის საჭირო ლიტერატურით და სასწავლო მოწყობილობით;

ლ) დააწესოს ინსტიტუტის თანამშრომელთა სამსახურებრივ საქმეებზე წასვლის და დაბრუნების დროის ზუსტი აღრიცხვა.

მ) ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მიიღოს ზომები ინსტიტუტის კლუბისათვის შესაფერისი ბინის გამოსაძებნად;

**II. დაევალოს ინსტიტუტის დეკანთ და კათედრის გამგეებს:**

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის საქმეს და აღმოუჩინონ მათ ამ საქმეში ყოველდღიური დახმარება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ინსტიტუტში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხებს. გაუწიონ სისტემატური ხელმძღვანელობა რუსული ენის მასწავლებლებს და მოაწყონ რუსული ენის შემსწავლელი წრეები ლექტორების ხელმძღვანელობით;

გ) განახორციელონ ოპერატიულ-კონკრეტული ხელმძღვანელობა კათედრის წევრებზე, მათი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გეგმების დროულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველსაყოფად;

დ) ყოველდღიური მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიონ სასწავლო დისციპლინის სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეს ლექციებზე და პრაქტიკუმებზე დასწრებით და შედეგების კათედრათა სხდომებზე განხილვით;

ე) დაევალოს უმაღლეს სკოლების სამართველოს ამ დადგენილების შესრულების შემოწმება მოახდინოს ა/წ 15 მაისამდე. შესრულების შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

**საქ. სსრ. განათლების სახ. კომისარი**
**ბ. ქიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 320

## განათლების სახალხო კომისარიატი სადმი

**1940 წლის 28 იანვარი**

### თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მისი არსებობის ოთხი თვის განმავლობაში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია: ინსტიტუტი ძირითადად დაკომპლექტებულია შესაფერისი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა შტატით; მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ორგანიზაცია; სისტემატურად ტარდება იდეურ-პოლიტიკური მუშაობა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა, თეორიული კონფერენციები და სხვ.) სათანადო ყურადღება ექცევა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების საყოფაცხოვრებო საკითხების დროულად მოწესრიგების საქმეს; ინსტიტუტი მომზადებულია საზამთრო სესიების ნორმალურად ჩატარებისათვის და სხვ.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის მუშაობას მთელი რიგი ნაკლოვანებანი გააჩნია, რომლებიც ხელს უშლიან. ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეს: ამ დეფექტებს შორის ძირითადია შემდეგი:

ა) ისტორიულ ფაკულტეტებს არ ჰყავს დეკანი, ამიტომ ამ ფაკულტეტების პედაგოგიურ პროცესზე ძალზე სუსტად ხორციელდება სისტემატური კონტროლი;

ბ) კათედრები არ იხილავენ ცალკე სასწავლო დისციპლინებში სწავლების ძირითად საკითხებს და სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ თავიანთ დარგში იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მეთოდურ მუშაობას;

**გ) კათედრების გამგეები არასაკმარისად** ესწრებიან კათედ. წევრთა ლექციებს და კონსულტაციებს და სისტემატურად არ ამოწმებენ მათი საკვლევო-სამეცნიერო მუშაობას. კათედ. გამგეების ლექციებზე დასწრების შედეგები არ არის მოსმენილი კათედრების სხდომებზე;

დ) საკვლევო-სამეცნიერო მუშაობაში არ არის ჩაბმული ინსტიტუტის ყველა მასწავლებელი: სამეცნიერო მუშაობის ინდივიდუალური გეგმა არა აქვს წარმოდგენილი 10 მასწავლებელს;

ე) ინსტიტუტს არა აქვს მოწყობილი სამკითხველო სტუდენტებისათვის დამოუკიდებელი მუშაობის ჩასატარებლად;

ვ) ჯერ კიდევ არ არის ინსტიტუტი მომარაგებული კაბინეტებით, ლაბორატორიებით და თვალსაჩინო ხელსაწყოებით, რაც ძალზე ხელს უშლის სასწავლო გეგმების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულების საქმეს;

ზ) არ არის მოწესრიგებული თბილისიდან ჩამომსვლელ ლექტორთა სადგურიდან გადმოსაყვანი ტრანსპორტის საქმე.

აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

I. დაევალოს ინსტიტუტის დირექტორს ამხ. **დ. შაფაქიძეს:**

1. 1940 წლის 1/II-მდე წარმოუდგინოს განსახკომს ზუსტი მოთხოვნილება ინსტიტუტის შტატის შევსების შესახებ საკ. სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ საშტატო ცხრილის მიხედვით.

2. ხელახლა განიხილოს სამეცნიერო მუშაობის ინდივიდუალური გეგმები, გაითვალისწინოს ინსტიტუტის ყველა მასწავლებელთა სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმა და

1940 წლის 1/II დაამტკიცოს საბჭოს სხდომაზე ინსტიტუტის 1940 წლის სამეცნიერო მუშაობის გეგმა.

3. დააწესოს ინსტიტუტში სისტემატური კონტროლი კათედრების სასწავლო-სამეცნიერო და საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის გეგმების დროულად და მაღალი ხარისხით შესრულების უზრუნველსაყოფად.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, ინსტ. რუსული ენის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი რუსული ენის სწავლების მაღალი ხარისხის მისაღწევად და დააწესოს სისტემატური კონტროლი ამ ღონისძიებათა გატარებაზე.

5. 1940 წლის 7/II-მდე შეადგინოს ინსტიტუტის კაბინეტების და ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებით შევსების კონკრეტული გეგმა და დროულად უზრუნველყოს მისი შესრულება..

6. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მუშაობას, აწარმოოს ბიბლიოთეკის სისტემატური შევსება და 1940 წლის 10/II-მდე უზრუნველჰყოს სტუდენტებისათვის სამკითხველოდარბაზის გამოყოფა დამოუკიდებელი მუშაობის ჩასატარებლად.

7. მეორე სემესტრის დასრულებამდე უზრუნველჰყოს რუსული ენისა და პედაგოგიკის კაბინეტის მოწყობის დამთავრება.

**II. დაევალოს ინსტიტუტის დეკანებს და კათედრის გამგეებს:**

1. გააძლიერონ კონტროლი ინსტიტუტში ლექციების, კონსულტაციების და გამოცდების მიმდინარეობაზე და დასახონ ღონისძიებანი სტუდენტთა აკადემიური წარმატებების ასამაღლებლად.

2. მოაწესრიგონ კათედ. წევრებისათვის სისტემატურ მეთოდური დახმარების ორგანიზაცია, გააძლიერონ კათედრის წევრთა ლექციებზე ურთიერთ დასწრების პრაქტიკა და გამოცდილების სისტემატური გაზიარების მიზნით მჭიდრო კავშირი დაამყარონ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და კათედრებთან.

3. საკ. კ. ბ. (ბ) ისტორიისა და მარქსისტ-ლენინიზმის ფუძემდებელთა შრომების შესწავლის საფუძველზე სისტემატური მუშაობა აწარმოონ სტუდენტთა და ინსტიტუტის სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით მოაწყონ ლექციების სისტემატური კითხვა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად საკითხებზე, ჩააბან ამ მუშაობაში კვალიფიციურ ლექტორთა ძალები და ჩაატარონ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით თეორიული კონფერენციები.

4. ხელახლა განიხილონ კათედრების წევრთა სამეცნიერო ინდივიდუალური მუშაობის გეგმები თემატიკის სირთულისა და სქემატურობის აღმოფხვრის თვალსაზრისით და 1940 წლის 1/II-მდე წარმოუდგინონ დირექტორს დასამტკიცებლად.

5. გააძლიერონ სისტემატური კონტროლი კათედ. წევრთა საკვლევო-სამეცნიერო მუშაობაზე. პერიოდულად მოისმინონ კათედ. სხდომებზე კათედრების წევრთა ანგარიში ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

6. ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ კათედრების წევრებს სადისერტაციო თემების დამუშავებაში.

7. 1940 წლის 1/II-მდე შეადგინონ ზუსტი მოთხოვნილება ცალკე სასწავლო დისციპლინის მიხედვით საჭირო სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურის და კაბინეტების სათანადო იარაღ-ხელსაწყოებით შესავსებად და წარუდგინონ დირექტორს.

8. ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ სტუდენტობას დამოუკიდებელი ნორმალური მუშაობის ჩასატარებლად და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის რეგლამენტაციას.

9. მოაწყონ კათედრების დახმარება თელავის რაიონის სკოლებზე, ახალგაზრდა მასწავლებლებზე, საგაზაფხულო გამოსაშვებ და კლასიდან კლასში გადასაყვანი გა-

მოცდების მუშაობაში ჩააბან კათედ. წევრები.

**III. დაევალოს უმაღლეს სკოლების სამმართველოს:**

1. შეავსოს ინსტიტუტის შტატი საკ. სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ საშტატო ცხრილის მიხედვით.

2. 1940 წლის 7/II-მდე შეარჩიოს ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და კანდიდატი წარმოადგინოს ამ თანამდებობაზე დასანიშნავად.

3. 1940 წლის 15 აპრილამდე განმეორებით შეამოწმოს ინსტიტუტის მუშაობა ამ დადგენილების განხორციელების თვალსაზრისით და შედეგი წარმოუდგინოს განსახკომის კოლეგიას.

4. მეორე სემესტრის დაწყებამდე საქ. სახკომსაბჭოს წინაშე დაისვას საკითხი თბილისიდან ჩამომსვლელ პროფესორ-მასწავლებელთა თელავის რკინიგზის სადგურიდან ინსტიტუტამდე გადმოსაყვანტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**გ. კიკნაძე**

---

# ბრძანება № 365

## განათლების სახალხო კომისარიატი საქმე.

**1940 წლის 28 იანვარს**

### პიონერთა და მოსწავლეთა კლუბების შესახებ.

პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო კლუბების გამგეების რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებულ ღონისძიებათა პრაქტიკულად გატარების მიზნით ვბრძანებ:

1. განსახკომის საშუალო სკოლის სამმართველომ უმოკლეს დროში:

ა) შეიმუშავოს პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო კლუბების მუშაობის დებულება და წარუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად.

ბ) ბავშვთა საკავშირო ოლიმპიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით, გაითვალისწინოს 1940 წლის მარტის თვეში პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო კლუბების მოცეკვავეთა და მომღერალთა წრის ხელმძღვანელების რესპუბლიკური თათბირის მოწვევა, რომელზედაც მოსმენილი იქნას ქ. თბილისის ბერიას სახ. რაიონის, თელავის, ბორჯომის და ქუთაისის პიონერთა კლუბების მომღერალთა და მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელების მოხსენებები.

გ) 1-ლ მაისამდე პიონერთა და მოსწავლეთა კლუბთან არსებული წრეები უზრუნველყონ პროგრამებითა და საჭირო მეთოდური მითითებებით;

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით 1940 წელში გათვალისწინებული იქნას ერთთვიან კურსებზე სკოლის გარეშე ობიექტების 40 მუშაკის გადამზადება, ხოლო ცალკე წრის ხელმძღვანელებისათვის კი მოეწყოს 10 დღიანი კურს სემინარები.

3. რეორგანიზებულ იქნას მხატვრული აღზრდის კაბინეტი, მხატვრული აღზრდის, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტად.

4. განსახკომის საგეგმო საფინანსო სამმართველომ სკოლის გარეშე მუშაობის ხაზით გაითვალისწინოს:

ა) კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტისა და ბავშვთა რადიო გადაცემისათვის საჭირო თანხები, აგრეთვე

სკოლის გარეშე მუშაკთა შორეული ექსკურსია;

ბ) გადასინჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო კლუბების შტატისა და ხელფასის მდგომარეობა და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად;

გ) 1940 წელში, გამოცდილებათა გაზიარების მიზნით, მივლინებული იქნას მოსკოვსა და ლენინგრადში პიონერთა და მოსწავლეთა კლუბების 8 მუშაკი;

დ) სოცშეჯიბრებაში ჩაბმულ ბავშვთა ექსკურსია თბილისსა და გორში.

დაევალოს თბილისის, ფოთის, წულუკიძის, ცხაკაიას, სიღნაღის, გორის, სოხუმის, ახალქალაქის, ლიუქსემბურგის, ზესტაფონის, ყარაიაზის, მახარაძის, ჩოხატაურის, ქუთაისის, სამტრედიის, გურჯაანის, ასპინძის, და ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყ. გამგეებს სისტემატური დახმარება გაუწიონ მუშაობაში პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო კლუბებს და უზრუნველჰყონ მათთვის განკუთვნილი თანხების კუთვნილებისამებრ გამოყენება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**ბ. კიკნაძე**

---

# ბრძანება № 304

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 28 იანვარს**

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1933 წლამდე კურსმოსმენილ პირთა ჩაუბარებლად დარჩენილ საგნებში გამოცდებზე დაშვების შესახებ.

აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ყოფ. პედაგოგიური ინსტიტუტის 1929 წლიდან 1933 წლამდე კურსმოსმენილ 4657 კაციდან ყველა სავალდებულო საგანი ჩააბარა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი მიიღო მხოლოდ 2979 კაცმა, დანარჩენი—1678 კაცი ითვლება უმაღლეს სასწავლებლის კურსმოსმენილად, რომელთაც, უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ძველი სისტემის გამო, ჩაუბარებელი აქვთ რამდენიმე საგანი. აღნიშნული მდგომარეობა ხელოვნურად აბრკოლებს მათი ცენზის გამორკვევის საქმეს, რითაც ხელი ეშლება სკოლებისა და კულტურული მშენებლობის სხვა დარგების კვალიფიციურ კადრებით უზრუნველყოფას, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **წებადაერთოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ყოფ. პედაგოგიურ ინსტიტუტის 1932/33 სასწავლო წლამდე კურსმოსმენილ პირებს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო დარჩენილი აქვთ ჩაუბარებლად ერთიდან ხუთ საგნამდე, ჩააბარონ ეს საგნები 1939/40 სასწავლო წლის განმავლობაში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაშინდელი სასწავლო გეგმებისა და ამჟამად მოქმედ პროგრამების მოცულობით.**

2. **დაევალოს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მოაწესრიგოს ძველ კურსმოსმენილთა პირადი საქმეები, დააზუსტოს მათ მიერ ჩასაბარებელი საგნების სია და დაავალოს ფაკულტეტების დეკანთ დარჩენილ საგნებში გამოცდების წორშალურად ჩატარება.**

3. ის ძველი კურსდამთავრებულები, რომელთაც ხუთზე მეტი საგანი დარჩათ ჩაუბარებელი, მათი პირადი განცხადებების საფუძველზე, გადარიცხულ იქნენ დაუსწრებელ განყოფილებებზე და ექსტერნატში 1940/41 სასწავლო წლისათვის.

4. გაფრთხილებულ იქნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ყოფ. პედაგოგური ინსტიტუტის 1933 წლამდე კურსმოსმენილები, რომელთაც დარჩათ ჩაუბარებელი საგნები, რომ ისინი დროულად გამოცხადდენ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტების დეკანებთან, გამოარკვიონ თავიანთი მდგომარეობა და პირადი საქმეები და დაწესებულ ვადებში ჩააბარონ დარჩენილი სავალდებულო საგნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საბოლოოდ დაკარგავენ გამოცდებზე დაშვების უფლებას.

5. იმ პირებს, რომლებიც დარჩენილი სავალდებულო საგნებს ჩააბარებენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიეცეს დიპლომი იმ ფორმის მიხედვით, რომელიც დაწესებული იყო იმდროინდელ კურსდამთავრებულთათვის.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**ბ. კიკნაძე**

---

# ბრძანება № 323

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 28 იანვარს.**

### წულუკიძის რაიონში წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

სპეციალურად ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ წულუკიძის რაიონის მოსახლეობაში (18—50 წლამდე) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჯერ მთლიანად დამთავრებული არ არის. აღინიშნოს, რომ მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსის ამხ. მუჩიაშვილის მიერ რაიონიდან მოწოდებული ცნობების სისწორე—ადგილზე საფუძვლიანად არ იქნა შემოწმებული. აღნიშნულიდან გამომდინარე **ვბრძანებ:**

1. გაუქმდეს განათლების სახკომისარიატის კოლეგიის დადგენილება (1939 წლის 25/7) წულუკიძის რაიონში წ/კ უცოდინარობის ლიკვიდაციის მთლიანად დამთავრების შესახებ.

2. ვავალებ წულუკიძის რაიონის განათ. განყოფილების გამგეს ამხ. ქაშიბაძეს, უახლოეს ხანში უზრუნველჰყოს ახლად გამოვლინებული წ/კითხვის უცოდინართა სწავლებაში ჩაბმა და წ/კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მთლიანად დამთავრება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**ბ. კიკნაძე**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 468

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 8 თებერვალს**

### დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და სსრკ ისტორიის I ტომების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ.

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია, წიგნი I, აკად. ტარლეს რედაქციით, შეტანილ იქნას თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიური სექტორის 1940 წლის საგამომცემლო გეგმაში, ხოლო სსრკ ისტორია, ტომი I, ლებედევისა და სხვათა რედაქციით, შეტანილ იქნას, სახელგამის 1940 წლის საგამომცემლო გეგმაში.

დაევალოს სახელგამს—და სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიურ, სექტორს უზრუნველყონ აღნიშნული წიგნების გამოცემა მიმდინარე წელს.

**საფუძველი:** განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 3 თებერვლის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**ზ. კიკნაძე**

---

# ბრძანება № 683

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 14 თებერვალს**

### ყვარლის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ.

გავეცანი რა ყვარლის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ:

რაიონის საკლუბო დაწესებულებანი, გარდა ჭიკაანისა და ენისელის ქოხ-სამკითხველოებისა, მოუმზადებელნი შეხვდნენ ზამთარს. უმრავლესობა საკლუბო დაწესებულებებისა მოთავსებულია უვარგის შენობაში ან ბინა სრულიად არ გააჩნიათ. (სანავარდოს, ხაშალხუტის, ბალლოჯიანის ქოხ-სამკითხველოები). არ არის მიღებული ზომები თვითდაბეგვრის თანხების გამოსაყენებლად საკლუბო დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის.

ადგილი აქვს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა მიერ საკლუბო მუშაკების თვითნებურად მოხსნა-დანიშვნას.

ზოგ შემთხვევაში სასოფლო საბჭოები საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების თანამდებობას უთავსებენ სასოფლო საბჭოს მუშაკებს, მათი ხელფასის გადიდების მიზნით, რაც იწვევს ამ საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის სრულ ჩაშლას (ოქტომბრის სასოფლო კლუბის გამგისა და ბიბლიოთეკარის თანამდებობა შეთავსებუ-

ლი აქვს სასოფლო საბჭოს მდივანს ურუ-ზაშვილს).

რიგ საკლუბო დაწესებულებებს აუთვისებელი ჰქონდათ 1939 წლის ბიუჯეტი.

ადგილი აქვს საკლუბო მუშაკთა ხელფასის დაგვიანებით გაცემას და მუშაკთა ხშირ ცვალებადობას.

საკლუბო დაწესებულებათა უმრავლესობას არ ჰყავს შემოკრებილი აქტივი და არ აქვს ჩამოყალიბებული საკ. დაწესებულებათა საბჭოები. ცუდად არის დაყენებული ქონების ინვენტარიზაციისა და დაცვის საქმე.

საკლუბო დაწესებულებათა უმრავლესობაში ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური და საწრეო მუშაობა.

რაიონის განათლების განყოფილება საკლუბო დაწესებულებებს არ უწევს ხელმძღვანელობას და პრაქტიკულ დახმარებას ადგილებზე.

განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მჭედლიშვილმა ვერ უზრუნველჰყო განსახკომის დირექტივებისა და ბრძანებების შესრულება. განსახკომიდან მიღებული ინსტრუქციებისა მეთოდ - წერილების ადგილებამდე დაყვანა და მათი შესრულების შემოწმება. პ/განინსპექტორი ამხ. კანანაძე სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს. მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა დაკარგულია, აღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1. წინადადება მიეცეს ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მჭედლიშვილს:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს გადამჭრელი ზომები საკლუბო დაწესებულებათა სათბობი მასალით და განათებით უზრუნველსაყოფად, დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მათი შენობების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის, როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებულ, ისე თვითდაბეგვრის სახსრების გამოყენებით;

ბ) უზრუნველჰყოს შესაფერი ბინებით ის საკლუბო დაწესებულებები, რომლებიც ამჟამად მოთავსებული არიან მათთვის შეუფერებელ და უვარგის შენობებში, ან რომლებსაც ბინა სრულებით არ გააჩნიათ (ბაღლოჯიანი, ხაშალხუტი, თივი, ჭალაბანი, ნავარდო და სხვ.);

გ) პირადად უხელმძღვანელოს საკლუბო მუშაკთა დანიშვნა-მოხსნის საქმეს, უზრუნველჰყოს საკლუბო დაწესებულებათათვის მათი ბიუჯეტის გაცნობა და მიიღოს გადამჭრელი ზომები ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების დროულად და დანიშნულებისამებრ ათვისებისათვის;

დ) არ დაუშვას საკლუბო მუშაკთა ხელფასის გაცემის დაგვიანება;

ე) ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერებით და საკლუბო დაწესებულებათა ირგვლივ სოფლის ინტელიგენციიდან, მოწინავე კოლმეურნეებიდან მტკიცე აქტივის შექმნით და საბჭოს ჩამოყალიბებით, უზრუნველჰყოს: საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნა, ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაციის სისტემატურად ჩატარება, საცნობო-საკონსულტაციო ბიუროების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის გაძლიერება; საკ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან ლექციების, მოხსენების და საუბრების ჩატარება;

ვ) ფიზკულტურისა და სპორტის, თავდაცვა-ავიაქიმის და მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ადგილობრივ არგანიზაციებთან ერთად უზრუნველჰყოს მასობრივი თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის, ანტირელიგიური და აგროზოოტექპროპაგანდის ფართოდ გაშლა;

ზ) უზრუნველჰყოს სოფლის მშრომელთა შორის 1939 წლის სრულიად-საკავშირო სას. სამეურნეო გამოფენაზე დემონსტრირებულ მიღწევათა ფართო პოპულარიზაცია და კოლმეურნეობებში გაშალოს სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად და 1940 წლის სას.-სამეურნეო გამო-

ფენაზე მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად;

თ) ერთი თვის ვადაში ჩაატაროს საკლუბო დაწესებულებებთან არსებული ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის შემოწმება, ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია. უზრუნველჰყოს მათი დაკომპლექტება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ძირითადი შრომებით, მხატვრული და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით, წიგნებითა და ბროშურებით მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხებზე;

ი) სისტემატურად შეამოწმოს პოლიტგანმუშაკთა დაუსწრებელი სწავლების პუნქტის მუშაობა, უზრუნველჰყოს საკლუბო მუშაკთა 100%-ით დასწრება მეცადინეობაზე და დაუსწრებელ სწავლებაში კულტაქტივის ჩაბმა.

2. ოქტომბრის სასოფლო კლუბის გამგე და ბიბლიოთეკარი ამხ. ურუზაშვილი და ახალსოფლის კლუბის გამგე ამხ. ვარდიაშვილი განთავისუფლდნენ აღნიშნულ თანამდებობიდან, როგორც შეთავსებით მომუშავენი.

3. მიეთითოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მჭედლიშვილს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველჰყო რაიონის საკლუბო დაწესებულებები შესაფერი ხელმძღვანელობით და დახმარებით.

ვაფრთხილებ ამხ. მჭედლიშვილს, რომ უკეთუ ის არ გარდაქმნის თავის მუშაობას პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში, მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

4. საქმისადმი სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის [illegible] მოიხსნას თანამდებობიდან ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების პოლიტგან-ინსპექტორი ამხ. კანანაძე და საქმე მის შესახებ გადაეცეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას.

5. კადრების სამმართველომ განათლების განყოფილებასთან ერთად შეარჩიოს ერთი დეკადის ვადაში შესაფერი კანდიდატი ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების პოლიტგანინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ ლიმიტგარეშე დაბანდებათა თანხებიდან გაითვალისწინოს ბიუჯეტში 15.000 მანეთი ყვარლის რაიონის საკლუბო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური შეკეთებისათვის.

7. დაევალოს სახელგამის ბიბკოლექტორს სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მოამარაგოს ყვარლის რაიონის საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკები საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო ტექნიკის მასალებით.

8. საკლუბო სამმართველომ აწ 1-ლ მაისამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგებზე მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 3 თებერვლის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების ხახ. კომისარი**
**ბ. კიკნაძე**

# ბრძანება № 123

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 11 იანვარს.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

### კასპის საშუალო სკოლის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

გავეცანი რა კასპის საშუალო სკოლის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ კასპის საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. სივსივაძე) ახალ სასწავლო წელს მოუმზადებელი შეხვდა, რის გამოც სკოლა დღესაც არაა უზრუნველყოფილი მერხებით (აკლია 30 მერხი), დაფებით, შკაფებით, არ არის შევსებული ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების კაბინეტები, სკოლაში ამხანაგ სტალინის ოთახის ჭერი ჩამონგრეულია და სხვა.

სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმები (წლიური ,მეოთხედური), ფორმალურ ხასიათს ატარებენ, ფაქტიურად სკოლა ამ გეგმებით არ მუშაობს, სკოლის დირექტორი ვერ უწევს სათანადო კონტროლს ცალკეული საგნების სამუშაო გეგმების შესრულებას, ამის შედეგად ადგილი აქვს ჩამორჩენას საპროგრამო მასალის გავლაში (51 აკად. საათის ჩამორჩენა სხვადასხვა საგნებში). სკოლის დირექცია არ უწევს სათანადო დახმარებას დამწყებ მასწავლებლებს, არ ესწრება გაკვეთილებს, არ აძლევს პედაგოგიურად მართებულ მითითებებს (პირველ მეოთხედში დირექტორი გაკვეთილს დასწრებია 6-ჯერ, მაგრამ არც ერთი მართებული მითითება არ მიუცია). მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა არადამაკმაყოფილებელია; სკოლას 38 მეორეწლიანი მოსწავლე ჰყავს, დირექტორს არდაუსახავს პრაქტიკული ღონისძიებები მათთან მუშაობის გარდაქმნისათვის. კლასის ხელმძღვანელების (ქ. შატბერაშვილის, საღარეიშვილის და სანდოღიშვილის) საალმზრდელო გეგმები დირექტორის მიერ არაა განხილული და დამტკიცებული. არ ჩანს სკოლის დირექტორის დახმარება და ხელმძღვანელობა კლასის ხელმძღვანელების მიმართ. მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის სკოლაში ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან; ადგილი აქვს დაგვიანებების შემთხვევებს, მასწავლებლებისათვის გაკვეთილზე ხელის შეშლას, ფანჯრებიდან გადმოხტომას და მოსწავლეთა ხულიგნურ მოქმედებას (მოწ. მარქარაშვილი, საანიშვილი, ზაალიშვილი და სხვა). სკოლაში სუსტია აღმზრდელობითი მუშაობა, რის გამოც მოსწავლეთა ხულიგნური მოქმედება გრძელდება, მე-4 და მე-6 კლასის მოწაფეებმა (მ. და შ. მარქარაშვილებმა კლასგარეშე მყოფ შალუტაშვილთან ერთად) ქვის კიბიდან ჩამოაგდეს მასწავლებელი ქ. საღარეიშვილი, რომელიც მთელ საათს უგრძნობლად ეგდო. სკოლის ადმინისტრაციას ასეთ შემთხვევაში პედაგოგიური ზემოქმედების ნაცვლად, მოწაფეების საქმე მილიციის ორგანოებში გადააქვს.

წერითი მუშაობას არ ექცევა ყურადღება, მაგ. მათემატიკაში წერა დღემდე ჩატარებულია 2-ჯერ 29/9-ს და 5/10-ს, ქართულ ენაში პირველ კლასში ჩატარებულია 17/11-ს და 2 11-ს, მე-5-ბ კლასში ქართულ ენაში წერა ჩატარდა მხოლოდ ერთჯერ და სხვა.

დღემდე არც ერთი ღია გაკვეთილი არ არის ჩატარებული და დამწყებ მასწავლებლებს არ ეწევა სათანადო დახმარება პედაგოგიურ დახელოვნებისათვის.

პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები წესიერად არ ფორმდება.

პირველი მეოთხედის აკადემიური წარმატების შედეგები, ყოველგვარი პრაქტიკული ღონისძიებების დასახვის გარეშე, ნაფლეთ ქაღალდზე აქვთ დაწერილი.

მოსწავლეთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია, მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს არ აქვს წარმოდგენილი დაბადების მოწმობები და სხვ..

სკოლაში ზოგიერთი გაკვეთილი უხარისხოდ ტარდება (მე-7-ბ კლ. გეომეტრია—გოგისვანიძე, მე-5-ბ კლ. ბუნებისმეტყველება—მასწ. ისაკაძე და სხვ.).

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი ლიბერალიზმი. „ფრიადოსანი“ მოწაფე თ. შველიშვილი (მე-7 კლ.) ფიზიკის ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა, „ფიზიკური მოვლენა არის, რაც ჩვენს გარშემოა“. ასე განმარტა ფიზიკური მოვლენა ფრიადოსანმა შველიშვილმა. კასპის საშუალო სკოლის გამოკვლევისას მსგავსი დეფექტები გასულ წელსაც იქნა აღნიშნული და სკოლას მიეცა სათანადო მითითებები, მაგრამ დირექტორ სივსივაძეს განსახკომის მითითებები უყურადღებოდ დაუტოვებია. სივსივაძემ ვერ შესძლო პედკოლექტივის დარზმვა ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის ამოცანების ირგვლივ და სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ყველა ამის გამო— ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადასინჯულ და დაზუსტებულ იქნას სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო და კლასის ხელმძღვანელთა გეგმები. სისტემატურად ხდებოდეს დასახული საკითხების შესრულების შემოწმება და მუშაობა წარიმართოს მტკიცე გეგმიანობის საფუძველზე. მოწესრიგებულ იქნას სკოლის არქივი, წესრიგში იქნას მოყვანილი სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი.

2. ახალგაზრდა მასწავლებლებზე დახმარების გაძლიერებით, მეთოდური მუშაობის გარდაქმნით, უზრუნველყოფილ იქნას ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

3. სკოლის დირექციამ ამთავითვე დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად, კლასის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა სისტემატური დახმარება და მეთვალყურეობა გაუწიონ აგრეთვე მეორეწლიან მოსწავლეებს და უზრუნველჰყონ მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა.

4. ამთავითვე მიღებულ იქნას ზომები სკოლაში მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის, აღმოფხვრილ იქნას უმიზეზოდ დაგვიანება-გაცდენების შემთხვევები, ხულიგნური გამოვლინებანი, გაძლიერდეს მშობლებთან მუშაობა და მეთვალყურეობა მოსწავლეებზე.

5. გარდაიქმნას პედაგოგიური საბჭოს მუშაობა იმგვარად, რომ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სისტემატურად იხილებოდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები და სახავდენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მუშაობის გასაჯანსაღებლად.

6. უახლოეს პედსაბჭოს სხდომაზე განხილულ იქნას განსახკომის ბრძანებები № 5910, 5615, 6007 სკოლებში კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის გაუმჯობესების, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების და უმაღლეს სასწ. დაუსწრებელი განყ. მუშაობის შესახებ. ამ ბრძანებათა საფუძველზე დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

8. სკოლის დირექტორმა, სასწავლო ნაწილის გამგემ და კლასის ხელმძღვანელებმა საქმიანი დახმარება გაუწიონ მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების მუშაობას, მოსწავლეებს განუმარტოს მოსწავლეთა ორგანიზაციის დებულება და ამოცანები.

9. დაევალოს სკოლის დირექციას პედაგოგიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს საკითხი ლიბერალიზმისა და პროცენტომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და დასახოს სათანადო ღონისძიებანი შესაბამისად ზემდგომ ორგანოების დადგენილებისა.

10. კასპის საშუალო სკოლის დირექტორი **ლ. სივსივაძე,** რომელმაც თავი ვერ გაართვა მუშაობას, განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

11. სკოლაში მეთოდური მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. **მიგინეიშვილს** გამოეცხადოს საყვედური.

12. დაევალოს კასპის განყ. განყოფილებას, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანოს კასპის საშუალო სკოლა და გაუწიოს მას სათანადო მეთოდხელმძღვანელობა მუშაობის გარდაქმნასა და გაჯანსაღებაში.

13. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას კასპის რაიონის საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

**საქ. სსრ განათლ. სახ. კომისარი ბ. კიკნაძე**

# ბრძანება № 927

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

**1940 წლის 7 მარტს**

### ბახანძრო დაცვის შემოწმების შესახებ ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და ჩოხატაურის რაიონებში

საქ. სსრ განსახკომის სახანძრო დაცვის ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და ჩოხატაურის რაიონებში— განათლების განყოფილებათა გამგეებმა გამოიჩინეს სრული უპასუხისმგებლობა სოციალისტური ქონების ხანძრისგან დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

აღნიშნულ რაიონების განათლ. განყოფილებათა გამგეების მიერ არ სრულდებოდა განსახკომის ბრძანებები და ღონისძიებანი სახანძრო დაცვის შესახებ. არც ერთ ჩამოთვლილ რაიონში არ აღმოჩნდა განსახკომის ბრძანება სახანძრო დაცვის საკითხებზე. ინსპექციის მიერ გამოკვლეულ 15 სკოლიდან არც ერთში არ არის დაწესებული ცეცხლის საწინააღმდეგო რეჟიმი.

სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული იყო სახანძრო ტექნიკური გამოკვლევა, მიცემულ იქნა სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ აღნიშნულ რაიონების მიერ ის არ იქნა შესრულებული.

ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით (ბრძანებით № 6749—1939 წლის 14/II) რაიონებს მიცემული ჰქონდათ წინადადება გაეძლიერებიათ სიფხიზლე ხანძრის აცილების მიმართულებით, მაგრამ გამოკვლეულ სკოლებში გასათბობი მოწყობილობა მოუწესრიგებელი აღმოჩნდა.

ბრძანებით № 653/4820—1939 წ. 31/8, § 3 „პ". „ვ" წინადადება ეძლეოდა სკოლებს ჩამოეყალიბებიათ „მმრ" და „ნგრ", იგივეა აღნიშნული ბრძანებაში № 6749 — 1939 წლის 14/II, მაგრამ ასეთები ჩამოყალიბებულია მხოლოდ ახალქალაქის და ნაწილობრივ ბორჯომისა და ასპინძის რაიონებში.

ფოსტა-დეპეშა № 240—1939 წლის 13/II არსად არ იყო რეალიზებული, ბოგდანოვკის რაიონში მიღებული ცეცხლმაქრები არ იყო განაწილებული სკოლებს შორის.

აუცილებელი იყო ათსაათიანი სემინარის ჩატარება ხანძრის საწინააღმდეგო ტექმინიმუმის შესახებ პედაგ. ადმინისტრატიული და ტექნიკური პერსონალისათვის, მაგრამ ეს სემინარი მოისმინა მხოლოდ 28 ცეცხლფარეშმა ბოგდანოვკის რაიონში და რამდენიმე სკოლის ცეცხლფარეშმა ახალქალაქის რაიონში.

ხანძრის საწინააღმდეგო რეჟიმისა და სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის ინსპექტორის მიერ მიცემულ ღონისძიებათა უგულებელყოფის გამო, ჩოხატაურის რაიონში, ს. დიდ-ვანში 1939 წლის 1/12 დაიწვა სკოლა თავის ინვენტარით.

სახალხო ქონების დაცვის საქმისადმი მსგავსი დანაშაულებრივ გულგრილი დამოკიდებულება მიმაჩნია რა მოუთმენელ მდგომარეობად, **ვბრძანებ.**

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, საოლქო, საქალაქო, საარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა დირექტორებმა (გამგეებმა) გაატარონ ცეცხლის საწინააღმდეგო შემდეგი პროფილაქტიური ღონისძიებანი:

1. გაამრავლონ და დაიყვანონ თითოეულ სკოლამდე ბრძანებები ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ და თვალყური ადევნონ მათი შესრულების საქმეს.

2. ჩაატარონ ათსაათიანი სემინარი ხანძრის საწინააღმდეგო ტექმინიმუმის შესახებ პედაგოგიურ და ადმინისტრ. ტექნიკურ პერსონალისათვის.

3. ყველა ა/სრ. საშ. და საშუალო სკოლებში სასწრაფოდ ჩამოაყალიბონ ნორჩ მეხანძრეთა რაზმები, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში—მოხალისე მეხანძრეთა რაზმები.

4. მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან პერიოდულად ჩაატარონ საუბრები სახანძრო დაცვის შესახებ.

თეზისები საუბრებისათვის შეიძინონ ადგილებზე სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის ორგანოებში.

5. შეამოწმონ სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევის ყველა აქტები და ყველა დავალებული ღონისძიებანი შეასრულონ ზუსტად მოცემულ ვადებში.

6. სკოლის დირექტორებმა კიდევ შეამოწმონ გასათბობი მოწყობილობანი და შეაკეთონ ისინი.

7. მათვე შეამოწმონ ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარის რაოდენობა და შეაკეთონ ისინი, ხანძრის საწინააღმდეგო ინვენტარის არსებული და საჭირო რაოდენობის შესახებ აცნობონ განს. სახ. კომისარიატს.

8. სხვენი დაიკეტოს, სამერცხულში ჩასმულ იქნეს მინები, სხვენი, დერეფნები და კიბეები განთავისუფლდეს ყოველგვარ ნივთებისაგან. კიბის ქვეშ აღებულ იქნას საკუჭნაოები, შეშა და სხვა სათბობი მასალა.

მიეთითოს ჩოხატაურის განს. განყ. გამგეს ამხ. ჩხაიძეს იმის გამო, რომ მან არ მიიღო ზომები სახელმწიფო ქონების ხანძრისაგან დასაცავად.

დიდი ვანის საშ. სკოლის დირექტორის ამხ. რამიშვილის დანაშაულის დასადგენად ამ საქმეში, ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლოდან გამოთხოვილ იქნას კვლევა-ძიების მასალები, რის შემდეგ დირექტორ რამიშვილის საკითხი განხილულ იქნას განსახკომის კოლეგიის სხდომაზე.

მიეთითოს ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონების განს. განყოფილებათა გამგეებს დანაშაულებრივ-გულგრილი დამოკიდებულებისათვის სახანძრო დაცვის საქმისადმი ვაფრთხილებ აგრეთვე ყველა რაიონის განათლების განყ. გამგეებს, რომ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებებისადმი მსგავსი გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევაში დამნაშავეთა მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები, მათი თანამდებობიდან მოხსნამდე და სასამართლოზე გადაცემით.

აღნიშნული ბრძანების შესრულების შემოწმება დაეკისროს სახანძრო დაცვის ინსპექტორს ამხ. ბაღდასაროვს.

**საფუძველი:** განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 25 თებერვლის დადგენილება.

**საქ. სსრ. განათლების სახ. კომისარი**

**ზ. კიკნაძე.**

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია

პ/მგ. მდივანი ხ. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/II—40 წ.
მთავლიტის რწმუნებულის № ა—1728

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-1940
შეკვეთა № 541

ტირაჟი—5.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ. № 36.